

**ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა  
და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე**

*შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს  
კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად*

ბატონო ი.,

2016 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა სამოქალაქო პლატფორმაში „არა ფობიას!“ შემავალმა ორგანიზაციებმა<sup>1</sup> (შემდგომში განმცხადებლები). განმცხადებლები განმარტავენ, რომ 2016 წლის 28 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნ. თ.-მ (შემდგომში მოპასუხე) სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ლექციაზე გააკეთა ჰომოფობიური შინაარსის განცხადება, სადაც ჰომოსექსუალური ურთიერთობები მოიხსენია როგორც „ამორალური“ და ლგბტ თემი პათოლოგიის მქონე საზოგადოებად წარმოაჩინა.

**1. ფაქტობრივი გარემოებები**

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სწავლებისას, პროფესორი ნ. თ. იყენებს ჰომოფობიური შინაარსის შემცველ წიგნს, რომელშიც ჰომოსექსუალობა განმარტებულია როგორც **საკუთარი სქესის წარმომადგენლისადმი პათოლოგიური, არაზუნებრივი ლტოლვა, რომელიც უკიდურესად ამორალურია.**

განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ მოპასუხის მიერ ლექციაზე გამოთქმული მოსაზრებები, ისევე როგორც ზემოაღნიშნულ ლიტერატურაში გაკეთებული განმარტებები, ლგბტ თემის მიმართ დისკრიმინაციის წამახალისებელია.

---

<sup>1</sup>საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI); მედიის განვითარების ფონდი (MDF); საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS); ლგბტ საქართველო; იდენტობა; ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

2017 წლის 26 ივლისის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა გამოგვიგზავნა მოპასუხის წერილობითი მოსაზრება.

მოპასუხის განმარტებით, არცერთ მის ნაშრომში და ლექციაზე მას ლგბტ ადამიანები არ შეუფასებია, როგორც პათოლოგიის მქონე საზოგადოება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში სსსკ) 138-ე მუხლის მიხედვით ის ჰომოსექსუალიზმს განმარტავს, როგორც მოვლენას და არ ეხება ამ ორიენტაციის მქონე პირებს და აცხადებს, რომ ჰომოსექსუალიზმი არ არის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუმცა ამორალურია. ამდენად, მოპასუხის განმარტებით, ის აფასებს არა პირს, არამედ მოვლენას და აღნიშნული არ ემთხვევა ერთმანეთს.

განმცხადებელი განმარტავს, რომ მისი პოზიცია ემყარება საქართველოს კანონმდებლის პოზიციას, რასაც სსსკ-ის 138-ე მუხლი გამოხატავდა, სანამ ცვლილებები განხორციელდებოდა. კერძოდ, „*მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით*“...განმცხადებლისვე პოზიციით, საქართველოს კანონმდებელი მამათმავლობას და ლესბოსელობას, სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტთან ერთად მოიხსენიებდა გაუკუღმართებული ფორმით განხორციელებულ სექსუალურ კონტაქტად. გაუკუღმართებული ფორმა კი ნიშნავს იმას, როცა ბუნებრივი სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება არაბუნებრივი - გაუკუღმართებული ფორმით, როცა ბუნებრივი მოთხოვნილება უკუღმა დგას. ამდენად, მოპასუხის განმარტებით, ეს იყო კანონმდებლის პოზიცია და არა მისი.

დასაბუთებისათვის ნაშრომში გამოყენებულია მორალური კრიტერიუმი და ნათქვამია, რომ ასეთი ფორმა მიჩნეულია ამორალურად. თუმცა, როცა ურთიერთობა ნებაყოფლობითია, იგი არაა მართლსაწინააღმდეგო. ლექციაზე საკითხის განხილვისას თუ რა კრიტერიუმითაა მიჩნეული ეს ურთიერთობა ამორალურად, დასახელებულია ზოგადსაკაცობრიო ზნეობის ნორმები, რომლის საფუძველიც არის რელიგიური ნორმები.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც სსსკ-ის 138-ე მუხლში ცვლილება შევიდა და აღარ არის აღნიშნული „გაუკუღმართებული ფორმა“ და სამომავლოდ გამოცემულ სახელმძღვანელოებში აღარ იქნება იმის აუცილებლობა, განვმარტოთ იგი. ასევე არ იქნება იმის აუცილებლობა, განიმარტოს რამდენად მორალურია სხვაგვარი არატრადიციული სექსუალური კონტაქტი. არც ლექციებზე წარმოიშობა აღნიშნულის განმარტების აუცილებლობა. მანამდე კი არსებობდა იმის აუცილებლობა, რომ როგორც სახელმძღვანელოში, ასევე ლექციაზე კანონმდებლის ყველა სიტყვა განმარტებულიყო.

მოპასუხის განმარტებით, თუ ვინმე თვლის, რომ ჰომოსექსუალიზმის შეფასება ამორალობის პოზიციიდან გამომდინარე არის ამგვარი ორიენტაციის პირთა მიმართ არაპირდაპირი დისკრიმინაციის გამოვლინება მაშინ პარლამენტის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს ამ კუთხით. კერძოდ, როცა 2013 პარლამენტმა ფუნდამენტური ცვლილებები შეიტანა

სქესობრივ დანაშაულთა თავში, რატომ არ ამოიღო სსსკ-ის 138-ე მუხლი მუხლიდან ჩანაწერი - „გაუკუღმართებული ფორმით“. განმცხადებლის განმარტებით, პარლამენტი ეთანხმებოდა ამ ქმედების ამგვარ შეფასებას. შესაბამისად, თუ კანონმდებელს აქვს უფლება კანონში მორალური შეფასებით იხელმძღვანელოს, ასეთი უფლება აქვს მით უმეტეს უნივერსიტეტის პროფესორს. კანონმდებელი 2017 წლამდე უარყოფდა 2014 წელს მიღებულ კანონს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და სსსკ-ის 138-ე მუხლში არსებული ჩანაწერით („გაუკუღმართებული ფორმით“) საკანონმდებლო დონეზე ახდენდა ამ პირთა არაპირდაპირ დისკრიმინაციას.

მოპასუხის განმარტებით, პირდაპირი დისკრიმინაციის ობიექტი არის კონკრეტული პირი და არა აზრი მოვლენაზე (მაგალითად ჰომოსექსუალიზმზე). განმცხადებლის განმარტებით, არაპირდაპირი დისკრიმინაციის დაცვის ობიექტიც ასევე არის პირი და არა აზრი თუ შეხედულება მოვლენაზე. განმცხადებელი განმარტავს, რომ დისკრიმინაციის გამოვლინებად ვერ ჩაითვლება ჰომოსექსუალიზმზე აზრის გამოთქმა, გამოხატვის თავისუფლება და მრწამსის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. ყველას აქვს უფლება, თავისი შეხედულება ჰქონდეს ამა თუ იმ საკითხზე. ზოგისთვის შეიძლება იყოს ეს მოსაწონი, ზოგისთვის კი მიუღებელი მორალური თვალსაზრისით.

მოპასუხის განმარტებით, თუ პირს პასუხისმგებლობა მოეთხოვება ნაშრომში თუ ლექციაზე გამოთქმული მოსაზრების გამო ასეთი მცდელობა უნდა შეფასდეს როგორც დევნა სიტყვისა და აზრის გამო. ხოლო თუ ასეთ მცდელობას ადგილი ექნება სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციის მხრიდან მაშინ ეს ქმედება წამოადგენს დევნას, რომელიც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

მოპასუხის შეფასებით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში, იგულისხმება არა აზრის გამოთქმა, მოვლენის შეფასება მორალური კრიტერიუმით, არამედ გამიზნული ქმედება. კერძოდ, ისეთი ქმედება როცა პირი მიზნად ისახავს, აიძულოს სხვა პირი, ან წააქეზოს იგი, ანდა ხელი შეუწყოს მას, რათა ამ უკანასკნელმა მესამე პირის მიმართ განახორციელოს დისკრიმინაცია.

## **2. სამართლებრივი შეფასება**

თანასწორობის უფლება გარანტირებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი კანონის მიზანს განსაზღვრავს, რაც მდგომარეობს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრასა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფაში რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის,

საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ დისკრიმინაციის განსხორციელებლად. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, *სახალხო დამცველი ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებას დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.*

ამდენად, კანონის თანახმად, ზოგადი წინადადების გამოცემა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პირის ქმედება თუ გამონათქვამი ამკვიდრებს ან აძლიერებს სტერეოტიპებს დაუცველი ჯგუფების მიმართ ან ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, რომელმაც შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების თუ ჯგუფების უფლებების შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძველით.

განსახილველ შემთხვევაში, სახალხო დამცველი, გამოხატვის თავისუფლების ფარგლებისა და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის ჭრილში, შეაფასებს შეუწყო თუ არა ხელი დისკრიმინაციის წახალისებას მოპასუხის მიერ 2016 წლის 28 სექტემბერს სისხლის სამართლის ლექციაზე გამოთქმულმა მოსაზრებამ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის 138-ე მუხლის იმ დროს მოქმედი რედაქციის კომენტარმა.

### ***2.1. გამოხატვის თავისუფლება და სავარაუდო სიძულვილის ენის გამოყენება საქმის ფაქტობრივი გარემოებების ფონზე***

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. ამ მუხლში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების მიერ ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, გამოხატვის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი საფუძველი, მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთ ძირითადი პირობა. იგი გამოიყენება არა მარტო „ინფორმაციისა“ და „მოსაზრების“ მიმართ, რომლებსაც ბევრი იზიარებს, ან გულგრილად ეკიდება, არამედ იმათ მიმართაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, თავზარდამცემი ან შემამფოთებელია სახელმწიფოს ან მოსახლეობის ნაწილისთვის. ამგვარია პლურალიზმისა, შემწყნარებლობისა და ფართო თვალთახედვის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა.<sup>2</sup>

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და გარკვეული წინაპირობების არსებობისას შესაძლოა მისი შეზღუდვა. როგორც ევროპული სასამართლო აღნიშნავს, ნებისმიერი ადამიანის მიმართ შემწყნარებლობა და თანაბარი პატივისცემა წარმოადგენს პლურალისტური დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს. ამიტომ დემოკრატიულ საზოგადოებებში პრინციპულად აუცილებელია გარკვეული სანქციების დაწესება აზრის გამოხატვის ისეთი ფორმების მიმართ, რომლებიც ავრცელებენ, პროვოცირებას და სტიმულირებას უწყვენ, ან ამართლებენ შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ სიძულვილს.<sup>3</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციით დაცულია კრიტიკული აზრი, მათ შორის ისეთიც, რომელსაც საზოგადოების ნაწილი შეიძლება ზედმეტად მკაცრად ან არაადეკვატურად აღიქვამდეს.<sup>4</sup> ამასთან, სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეაფასოს გამოხატვის ფორმისა და შინაარსის ღირებულება, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, ის ზიანი, რომელიც ამ უფლების რეალიზაციამ გამოიწვია. სასამართლო ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში აფასებს გამოხატვის ფორმისა და შინაარსის საზოგადოებრივ მნიშვნელობას და ზიანს, რომელიც ამ უფლების რეალიზაციამ გამოიწვია.<sup>5</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ არ არსებობს დემოკრატია პლურალიზმის გარეშე. დემოკრატიის არსი მდგომარეობს განსხვავებული პოლიტიკური პროგრამების შეთავაზებისა და დებატების დაშვებაში იმის

<sup>2</sup> ECtHR, *Handyside v. The United Kingdom*, no. 5493/72, 7/12/1976, §49

<sup>3</sup> ECtHR, *Erbakan v. Turkey*, no. 59405/00, 06/07/2006, §56

<sup>4</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N2/482,483,487,502 II. პ.106

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/3/421/422, II.პ.6.

უზრუნველყოფით, რომ ისინი თავის მხრივ არ ავნებს დემოკრატას.<sup>6</sup> ამდენად, ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლების შეფასებისას ითვალისწინებს განცხადების გაკეთების კონტექსტს, მიზანსა და ისეთ ობიექტურ გარემოებებს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და პლურალიზმის ხარისხზე.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს, მათ შორის, აკადემიურ თავისუფლებას, და უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით. კანონი ასევე განმარტავს აკადემიურ თავისუფლებას, როგორც აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლებას, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა.

აკადემიური თავისუფლების ფარგლებში მასწავლებლებს აქვთ სრული თავისუფლება განიხილონ სხვადასხვა საკითხები ლექციაზე, მაგრამ სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, რომ სასწავლო პროცესში არ მოხდეს ისეთი საკამათო თემის განხილვა, რომელიც არ არის დაკავშირებული საგანთან. აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა, დაწესებულების რელიგიური ან სხვა მიზნების გამო, უნდა იყოს მკაფიოდ მითითებული წერილობითი ფორმით დანიშნის დროს. მეცნიერებსა და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს უნდა ახსოვდეთ, რომ საზოგადოებამ მათი პროფესია და დაწესებულება შეიძლება განსაჯონ მათ მიერ გაკეთებული გამოთქმების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მათ უნდა გამოიჩინონ სათანადო თავშეკავება, უნდა გამოხატონ პატივისცემა სხვების მოსაზრებების მიმართ და მიმართონ ყველა ძალისხმევა იმის ხაზგასმისკენ, რომ ისინი არ საუბრობენ საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით.<sup>7</sup>

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის თანახმად, *კუმანიზმის, ტოლერანტულობის და თანასწორობის* პრინციპებზე დამყარებული ქართული უნივერსიტეტის კარი ღიაა ყველა სტუდენტისა და პროფესორისათვის განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებისა. ასევე, აკადემიური პერსონალი, მასწავლებლები და მოწვეული პედაგოგები სამართლიანად და პატივისცემით უნდა მოეპყრონ უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს.<sup>8</sup> შინაგანაწესის 22-ე მუხლის თანახმად, პერსონალი ვალდებულია პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს და ღირსებებს. პერსონალს აგრეთვე მოეთხოვება დაიცვას სხვა შეზღუდვები, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ გათვალისწინებულია სხვა

<sup>6</sup> ECtHR, *Animal Defenders International v UK*, no. 48876/08, 22/04/2013, §100

<sup>7</sup> <https://www.aaup.org/report/1940-statement-principles-academic-freedom-and-tenure>

<sup>8</sup> ეთიკის კოდექსი ხელმისაწვდომია შემდეგ ბზულზე: [https://www.tsu.ge/data/file\\_db/iuridiuli\\_cnobari/etika\\_09.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/iuridiuli_cnobari/etika_09.pdf)

სამართლებრივი აქტებით.<sup>9</sup>

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, დაუშვებელია სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით სიძულვილის ენის ან დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის გამართლება კულტურულ, ტრადიციულ, რელიგიურ შეხედულებებზე ან „დომინანტურ კულტურაზე“ მითითებით.<sup>10</sup>

საქართველოს შესახებ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია ლგბტ პირთა წინააღმდეგ ფართოდაა გავრცელებული საქართველოში. 2013 წელს თბილისში ჩატარდა კვლევა ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს მომხდარ ძალადობაზე. გამოკითხულთა 50%-ის თქმით, ძალადობა მისაღება იმ მირთა მიმართ, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებენ ეროვნულ ღირებულებებს –მაგალითად ლგბტ პირები. დაახლოებით 60% მიიჩნევდა, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირები, რომლებიც ლგბტ პირთა წინააღმდეგ ძალადობრივ ქმედებებში მონაწილეობდნენ, არ უნდა გასამართლდნენ. თითქმის 50%-მა კი განაცხადა, რომ სექსუალურ უმცირესობათა უფლებები პატივსაცემი არ არის. საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს რაიმე საგანგებო სტრატეგია ლგბტ პირთა მიმართ დისკრიმინაციასა და შეუწყნარებლობასთან საბრძოლველად. ხელისუფლებამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ კომისიას (ECRI) აცნობა, რომ საგანმანათლებლო სექტორში არ დანერგილა სპეციალური პროგრამები ლგბტ პირთა მიმართ ტოლერანტობის ხელშეწყობისათვის, არც სკოლებში და არც უნივერსიტეტებში. დისკუსია ჰომოსექსუალიზმის არსებობაზე არ არის ჩართული სკოლის სასწავლო პროგრამებში. ლგბტ საკითხებზე ბალანსირებული და ობიექტური სწავლების არარსებობის გამო მოსწავლეები მოწყვლადნი რჩებიან ქართულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ჰომო/ტრანსფობიური დისკურსის მიმართ.<sup>11</sup>

ECRI-ის დამატებითი რეკომენდაციით, უნდა დაიწყოს ცნობიერების ამაღლების პროგრამები სკოლებსა და უნივერსიტეტებში რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიურ სიძულვილთან საბრძოლველად.<sup>12</sup>

განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, გამოთქმული მოსაზრების და კომენტარის შინაარსის გაანალიზება, მეორე მხრივ კი, აუდიტორიის და იმ კონტექსტის გათვალისწინება, სადაც აღნიშნული განცხადება გაკეთდა.

<sup>9</sup> შინაგანაწესი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე

[https://www.tsu.ge/data/file\\_db/iuridiuli\\_cnobari/shinaganacessi\\_axali\\_09\\_13401.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/iuridiuli_cnobari/shinaganacessi_axali_09_13401.pdf)

<sup>10</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010) 5 [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805cf40a](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805cf40a)

<sup>11</sup> ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი), მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, გვ. 39. <http://www.refworld.org/cgi-bin/texis/vtx/rwmain/opendocpdf.pdf?reldoc=y&docid=584e8bb34>

<sup>12</sup> ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი), მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, გვ. 29. <http://www.refworld.org/cgi-bin/texis/vtx/rwmain/opendocpdf.pdf?reldoc=y&docid=584e8bb34>.

აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 138-მუხლი (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება), რომლის კომენტარსაც განმცხადებლები სადავოდ ხდიან შეიცვალა. ძველი რედაქციის დისპოზიცია შემდეგი იყო:

*„მამათმავლობა, ლესბოსელობა, ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით“.*

მითითებული მუხლის სისხლის სამართლის კერძო ნაწილის (წიგნი I),<sup>13</sup> 138-ე მუხლის კომენტარის ავტორი არის მოპასუხე პროფესორი ნ. თ.<sup>14</sup> 138-ე მუხლის კომენტარისას მოპასუხე აღნიშნავს, რომ:

*„მამათმავლობა ნიშნავს მამრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალურ კავშირს. თუ ასეთ კავშირს ადგილი აქვს ნებაყოფლობით და თანაც 16 წელს მიღწეულ პირებს შორის, ქმედება დანაშაულად არ ითვლება. მართალია, ამგვარი ქმედება ზნეობრივი თვალსაზრისით უკიდურესად გასაკიცხია, მაგრამ ვინაიდან არ აზიანებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, არაა დასჯადი. ლესბიანობა ნიშნავს ქალის სექსობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ქალთან სხეულის ეროგენულ ზონებზე ზემოქმედების გზით. ლესბიანობაც, თუ მას ადგილი აქვს 16 წელს მიღწეულ პირებს შორის ნებაყოფლობით, არაა დასჯადი ქმედება, თუმცა უკიდურესად ამორალურია. ამდენად, მამათმავლობაცა და ლესბიანობაც ჰომოსექსუალიზმის ნაირსახეობაა“.*

ამასთან, ჰომოსექსუალიზმს მოპასუხე სქოლიოში შემდეგნაირად განმარტავს: *„ჰომოსექსუალიზმი ნიშნავს საკუთარი სქესის წარმომადგენლისადმი პათოლოგიურ, არაბუნებრივ ლტოლვას“.*<sup>15</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, სსსკ-ის 138-ე მუხლის რედაქციაში ცვლილება შევიდა, კერძოდ, ცვლილება შეეხო როგორც თავად მუხლის სახელწოდებას, ასევე დისპოზიციას. მუხლის სახელწოდება შემდეგნაირად განისაზღვრა - სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, ხოლო დისპოზიცია შემდეგია:

*„სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რომელიც არ შეიცავს ამ კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით, ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით“.*

<sup>13</sup>ავტორები: მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა, მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011.

<sup>14</sup> იხ. <https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/239906265-e183a1e18398e183a1e183aee1839ae18398e183a1-e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e1839ae18398e183a1-e18399e18394e183a0e183ab.pdf>

<sup>15</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I) მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011, გვ. 184.

ამდენად, ახალი რედაქციიდან ამოღებულია „მამათმავლობისა“ და „ლესბოსელობის“ ტერმინები და აქცენტი კეთდება სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებაზე. შესაბამისად, მოპასუხის მიერ სსსკ-ის 138-ე მუხლის კომენტარის განხილვა აღარ არის რელევანტური. აღნიშნულ მუხლში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე, მოპასუხე ვეღარ განმარტავს მუხლის დისპოზიციას იმ შინაარსით, როგორც ეს ცვლილებამდე იქნებოდა შესაძლებელი და კომენტარის ამ სახით გაცნობა აღარც სტუდენტებს მოუწევთ.

თუმცა, იმის მიუხედავად, რომ მუხლის სადავო შინაარსი შესაბამის ნორმაში აღარ იკითხება და აღარც მისი კომენტარია რელევანტური სასწავლო მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ როგორ დამოკიდებულებას ავლენს ლექციისას ლგბტ თემის მიმართ მოპასუხე.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი მოცემული საქმისათვის არის აუდიტორია, ანუ იმ პირთა წრე, ვინც მოპასუხის ლექციას ესწრება. ლექტორის, როგორც ავტორიტეტის მქონე პირის, კონკრეტულმა მოსაზრებამ ჰომოსექსუალური ურთიერთობების ამორალურობასთან დაკავშირებით შესაძლებელია სტუდენტებზე გავლენა მოახდინოს.

გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეურაცხმყოფელი გამონათქვამი/მოსაზრება თავისი სიმძიმითა და ზეგავლენის მასშტაბით ახალისებს სიძულვილს, დისკრიმინაციასა და ძალადობას.

განსახილველ შემთხვევაში, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ნ. თ.-ს მიერ გამოყენებული შეურაცხმყოფელი გამონათქვამები საქმის ფაქტობრივი გარემოებების ფონზე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ობიექტურ საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან, საქართველოში ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობის ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით, მსგავსი ტერმინების გამოყენება კიდევ უფრო ამყარებს არასწორ შეხედულებებს და მომავალში შესაძლოა ხელი შეუწყოს დისკრიმინაციას.

## **2.2 საერთაშორისო პრაქტიკა**

განსახილველი საქმის ფარგლებში, სახალხო დამცველმა ასევე შეისწავლა რამდენიმე ქვეყნის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გამოხატვისა და აკადემიური თავისუფლებისადმი მიდგომა.

საფრანგეთში უნივერსიტეტის პროფესორთა აკადემიური თავისუფლება ფუნდამენტური პრინციპია. მკვლევარები და პროფესორ-მასწავლებლები არიან სრულიად დამოუკიდებლები ისარგებლონ სიტყვის თავისუფლებით როგორც კვლევის, ასევე სწავლების დროს, იმ

პირობის დაცვით, რომ ისინი პატივს სცემენ უნივერსიტეტის ტრადიციებს, შემწყნარებლობისა და ობიექტურობის პრინციპებს.<sup>16</sup>

კანადაში პროფესორი - რიკ კუპლენდი გაათავისუფლეს სენტ ლოურენსის კოლეჯიდან (St. Lawrence Collage) იმის გამო, რომ ფლორიდაში ცისარტყელას დროშის აღმართვასთან დაკავშირებით ჰომოფობიური კომენტარი გააკეთა ფეისბუქ გვერდზე:

*„ქუიარ ადამიანები უნდა ჩამოკიდონ და არა დროშა“ (it’s the queers they should be hanging, not the flag).<sup>17</sup>*

ჩრდილოეთ კაროლინის ვილმინგტონის უნივერსიტეტის პროფესორის მაიკ ადამსის ჰომოფობიური, ტრანსფობიური, ქსენოფობიური გამონათქვამების გამო 2000-ზე მეტი ადამიანი შეურთდა პეტიციას/მოთხოვნას მისი გათავისუფლების შესახებ. მაიკ ადამსი ტვიტერზე შემდეგი შინაარსის პოსტებს წერდა:

*„ფერადკანიანთა სიცოცხლე მნიშვნელოვანია - ყოველთვის გააპროტესტე მტკიცებულების აღმოჩენამდე. მათი ფილოსოფია შემდეგია - ჯერ ესროლე, მერე დასვი შეკითხვები“. (Black Lives Matter always protest before they see the evidence. It appears that their philosophy is to shoot first and ask questions later.);*

*„ფერადკანიანთა სიცოცხლე მნიშვნელოვანი რომ იყოს, აბორტი უკანონო იქნებოდა“. (If black lives mattered, abortion would be illegal);*

*„ფეისბუქმა გამიუქმა ექაუნთი შემდეგი სტატუსის გამო: გეი წყვილები არ იმსახურებენ თანაბარ სარგებელს, ვინაიდან არ არიან თანაბრად სასარგებლონი საზოგადოებისათვის“. (FB shut down my account for posting the following: “Gay couples do not deserve equal benefits because they do not equally benefit society”);*

*„არ მითხრათ რომ ჰომოსექსუალთა რევოლუცია არის სამოქალაქო უფლებების მოძრაობა. ჰიტლერს რომ მხარი დაეჭირა გეი-ქორწინებისათვის ლგბტ თემის აქტივისტები მას მხარს დაუჭერდნენ“. (Don’t tell me the homosexual revolution is a civil rights movement. If Hitler supported gay marriage LGBT activist would vote for him);*

*„ჰილარი კლინტონი იმდენად არის გეი ქორწინების მხარდამჭერი რამდენადაც ბრუს ჯენერია ქალი“. (Hillary Clinton is as much of a supporter of gay marriage as Bruce Jenner is a woman).<sup>18</sup>*

### **3. დასკვნა**

<sup>16</sup><https://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?idArticle=LEGIARTI000006525615&idSectionTA=LEGISCTA000006182452&cidTexte=LEGITEXT000006071191&dateTexte=20170718>

<sup>17</sup> <https://www.aol.com/article/2015/07/23/professor-fired-after-posting-homophobic-remarks/21212670/>

<sup>18</sup> [https://www.buzzfeed.com/tasneemnashrulla/uncw-professor-free-speech-debate?utm\\_term=.pnMyRvP7n#.tuqrQe2DE](https://www.buzzfeed.com/tasneemnashrulla/uncw-professor-free-speech-debate?utm_term=.pnMyRvP7n#.tuqrQe2DE)

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ლექციაზე პროფესორს უნდა შეეძლოს ისეთი საკითხების განხილვა, რომელიც საკამათოა და შეიძლება კონკრეტული სტუდენტისათვის არაკომფორტულია მისი მოსმენა. მოსაზრებების ჭიდილი, დებატები და განხილვები, იდეების გაცვლა-გამოცვლა, განსხვავებული აზრის მოსმენა და კრიტიკა ინტელექტუალური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია და ხელს უწყობს დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოპასუხე სარგებლობდა არა მარტო გამოხატვის, არამედ ასევე აკადემიური თავისუფლებით. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დაუშვებელია იმ ტიპის მოსაზრებების გამოხატვა, რომელმაც შეიძლება კონკრეტული ჯგუფის ადამიანების მიმართ სიძულვილი წახალისოს. მოპასუხემ თავი უნდა შეიკავოს რომელიმე დაუცველი ჯგუფის, მათ შორის, ლგბტ თემის, მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებების გაკეთებისაგან და ხელი არ შეუწყოს მათ მიმართ უარყოფითი და სტერეოტიპული დამოკიდებულების გაძლიერებას.

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს უმაღლესი განათლების როლს კრიტიკულად მოაზროვნე და მრვალაფეროვანი საზოგადოებისადმი ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში. გამოხატვისა და აკადემიური თავისუფლების ფარგლები არ ათავისუფლებს ლექტორს პასუხისმგებლობისაგან, რომ დაიცვას თანასწორობის პრინციპი, იმგვარად, რომ მისმა გამონათქვამმა/შეხედულებამ მიზანმიმართულად თუ გაუფრთხილებლობით არ დაამციროს სტუდენტი, რომელიც შესაძლოა ლგბტ თემს მიეკუთვნებოდეს. ამავე დროს, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მოპასუხე ხაზგასმით უნდა აღნიშნავდეს კონკრეტული მოსაზრება არის მისი პირადი მოსაზრება თუ იმ საგანმანათლებლო დაწესებულების, რომელშიც ის ასწავლის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს „სახალხო დამცველი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ზოგადი წინადადებით მიმართავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს:

- შეიმუშავოს რეგულაციები, რომელიც ლექტორს აუკრძალავს ლექციის განმავლობაში დისკრიმინაციული გამონათქვამების/მოსაზრებების გავრცელებას.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად.

პატივისცემით,